როცა დაინახავთ ადამიანებს, რომლებიც ყურანში გაურკვეველ საკითხებს მიჰყვებიან, იცოდეთ, რომ ეს ის ხალხია, რომელთა შესახებ ალლაჰმა ისაუბრა. ერიდეთ მათ

გადმოცემულია აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: წაიკითხა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ეს აიათი: {იგია ის, რომელმაც გარდმოგივლინა შენ წიგნი. მასშია ცხადი აიათები, რომელნიც წიგნის დედააზრს ქმნიან, და სხვები მიმგვანებული. ისინი კი, ვის გულებშიც ეჭვია, მიჰყვებიან იმას, რაც მიმგვანებულია. ცდილობენ გამოიწვიონ არეულობა და განმარტონ აიათები, არავინ იცის მისი (მიმგვანებული - მუთეშაბიჰი აიათების) ახსნა, ალლაჰის გარდა. მტკიცე ცოდნის მქონენი ამბობენ: ჩვენ ვირწმუნეთ ის, ყველაფერი ჩვენი ღმერთისგანაა! შეგონებას მხოლოდ გონიერნი მისდევენ.} [აალ იმრაან: 7] მან თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როცა დაინახავთ ადამიანებს, რომლებიც ყურანში გაურკვეველ საკითხებს მიჰყვებიან, იცოდეთ, რომ ეს ის ხალხია, რომელთა შესახებ ალლაჰმა ისაუბრა. ერიდეთ მათ!»

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წაიკითხა შემდეგი]აიათი: {იგია ის, რომელმაც გარდმოგივლინა შენ წიგნი. მასშია ცხადი აიათები, რომელნიც წიგნის დედააზრს ქმნიან, და სხვები მიმგვანებული. ისინი კი, ვის გულებშიც ეჭვია, მიჰყვებიან იმას, რაც მიმგვანებულია. ცდილობენ გამოიწვიონ არეულობა და განმარტონ აიათები, არავინ იცის მისი (მიმგვანებული - მუთეშაბიჰი აიათების) ახსნა, ალლაჰის გარდა. მტკიცე ცოდნის მქონენი ამბობენ: ჩვენ ვირწმუნეთ ის, ყველაფერი ჩვენი ღმერთისგანაა! შეგონებას მხოლოდ გონიერნი მისდევენ}, რაშიც გვამცნო დიდებულმა ალლაჰმა, რომ ისაა ყურანი, რომელიც გარდმოუვლინა მის მოციქულს, რომელთაგანაცაა ნათელი აიათები, რომელიც ნათლად განსაზღვრავს წესებს და არ ტოვებს გაურკვევლობას. ისინი წიგნის საფუძველია და უთანხმოების დროს უნდა მივმართოთ მათ. ასევე, არსებობს სხვა აიათები, რომლებიც მრავალმნიშვნელოვანია და შეიძლება ერთზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. მათი გაგება ზოგიერთი ადამიანისთვის რთულია, ან შეიძლება ჩათვალონ, რომ ისინი სხვა აიათებთან წინააღმდეგობაში მოდის. ეხებიან ადამიანები ამ აიათებს: ისინი, ვის გულშიც გადახრა და სიმრუდია, უგულებელყოფენ ნათელ აიათებს და მიჰყვებიან მრავალმნიშვნელოვან აიათებს, რაც მათ საშუალებას აძლევს დაბნეულობა გამოიწვიონ და ხალხი შეცდომაში შეიყვანონ. ისინი ცდილობენ აიათების იმგვარ განმარტებას, რაც მათ სურვილებს შეესაბამება. მაგრამ ისინი, ვინც მყარად არიან ცოდნაში, მრავალმნიშვნელოვანი აიათების ჭეშმარიტი მნიშვნელობა და მათ მტკიცე აიათებთან აკავშირებენ. მათ სწამთ, რომ ეს ყველაფერი ალლაჰისგან არის და არ შეიძლება არსებობდეს რაიმე წინააღმდეგობა. მხოლოდ გონიერ ადამიანებს შეუძლიათ დაფიქრება და სწორი დასკვნის გამოტანა. შემდეგ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა მორწმუნეების დედას აიშას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ თუ დაინახავს მათ, ვინც მრავალმნიშვნელოვან აიათებს მისდევს,

ისინი იქნებიან ის ადამიანები, ვისზეც ალლაჰმა თქვა თავის სიტყვებში: {ხოლო რომელთა გულებშიცაა გადახრა}. მაშ, ერიდეთ მათ და არ მოუსმინოთ.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/65062